



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



განათლების განვითარების
და დასაქმების ცენტრი



ვისთვის არის განკუთვნილი სოციალური მეწარმეობის ინტენსიური ტრენინგ კურსი?

თუ თქვენ საქმიანობის სფეროდ აირჩიეთ სოციალური მეწარმეობა, გაქვთ საინტერესო იდეა და გსურთ განსხვავებული მიდგომებით საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების და პრობლემების გადაწყვეტა, შემოთავაზებული კურსი დაგეხმარებათ გააანალიზოთ სოციალური მეწარმის კარიერა და შეიძინოთ სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნა-უნარები.

სოციალური მეწარმეობის ინტენსიური ტრენინგ კურსი შემუშავდა მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით და განკუთვნილია მათთვის ვისაც:

- სურს გახდეს სოციალური მეწარმე;
- სურს გახდეს ცვლილებების ინიციატორი;
- აქვს ინოვაციური სოციალური ბიზნესის იდეა.

კურსს უხელმძღვანელებს გამოცდილ ტრენერთა გუნდი. გარდა ამისა, კურსის მიმდინარეობისას მოწვეული სპიკერების რანგში შეხვდებით წარმატებულ სოციალურ მეწარმეებს და მათგან მიიღებთ პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

რა საკითხებზე მიიღებთ ცოდნას კურსის მსვლელობისას ?

სოციალური მეწარმეობის ინტენსიური ტრენინგ კურსის პროგრამა 13 დღიანია და შედგება შემდეგი მოდულებისგან:

1. სოციალური მეწარმეობის შესავალი - 3 დღე

- სოციალური მეწარმეობის არსი და განვითარების ისტორია;
- საზოგადოებაში სოციალური საწარმოების შესაძლო როლები, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი სოციალური საწარმოების მაგალითებზე;
- განსხვავება სოციალურ საწარმოსა და ბიზნეს კომპანიას შორის;
- სოციალური საწარმოს განვითარების ეტაპები;
- ბალანსის მიღწევა სოციალურ და ბიზნეს მიზნებს შორის;
- სოციალური შედეგების დაგეგმვის და შეფასების მეთოდები.

2. მარკეტინგი - 3 დღე

- მარკეტინგის საფუძვლები;
- სტრატეგიული მარკეტინგი;
- ბრენდინგი და ბრენდის განვითარება;
- მომხმარებელთა სეგმენტის სწორად განსაზღვრა;
- მარკეტინგული კომუნიკაცია - სწორი საკომუნიკაციო არხების და მეთოდების შერჩევა;
- გაყიდვები;
- სოციალური შედეგების მარკეტინგი.

3. ფინანსები - 3 დღე

- საწარმოს სასტარტო ხარჯები და მოთხოვნა კაპიტალზე;
- საჭირო საინვესტიციო მოცულობის განსაზღვრა და მისი თვეების მიხედვით განხორციელების აუცილებლობა;
- ხარჯების აღრიცხვა ცვლად და ფიქსირებულ ნაწილებად, პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებად;
- საჭირო ინვენტარის ბალანსზე აღრიცხვა, ცვეთის გამოთვლა; საამორტიზაციო ანარიცხების ფონდის შექმნა;
- ერთეული პროდუქტის თვითღირებულების გამოთვლა;
- შემოსავლების აღრიცხვა პროდუქტებისა და თვეების მიხედვით;
- გასაღების აღრიცხვა პროდუქტების და თვეების მიხედვით;
- Cash-Flow -ს გათვლა;
- Break Even-ის გათვლა წარმოებული პროდუქციის რაოდენობის და თვეების მიხედვით;
- საგადასახადო რეგულაცია: საშემოსავლო, ქონების და მოგების გადასახადი (ახალი მოდელი);
- სოციალური საწარმოს სპეციფიკა - სოციალური ხარჯები;
- სოციალური და ბიზნეს ხარჯების გამიჯვნა და მართვა;
- რისკები, ფინანსური რისკები;
- წარმოების პროცესის დაგეგმვა და მართვა.

4. როგორ ვაქციოთ სოციალური საწარმოს იდეა და ბიზნეს გეგმა რეალობად - 4 დღე

4.1 რესურსების მობილიზება

- როგორ მოვიძიოთ დაფინანსება სოციალური საწარმოს საწყისი ხარჯებისთვის და გაფართოებისთვის.
 - o რესურსების მობილიზების ძირითადი პრინციპები;
 - o რესურსების მობილიზების მეთოდები;
 - o სესხი;
 - o ლიზინგი;
 - o დონორებთან კომუნიკაცია;
 - o რესურსების მობილიზების გეგმა.

4.2 სოციალური საწარმოს დაფუძნების იურიდიული ასპექტები

- საკანონმდებლო გარემო სოციალური მეწარმეებისთვის საქართველოში;
- სოციალური საწარმოს შესაძლო სამართლებრივი ფორმები და სტრუქტურული მოწყობა.

ტრენინგ ციკლის დასრულების შემდეგ მონაწილეებს ექნებათ საკუთარი იდეის საფუძველზე მომზადებული ბიზნეს გეგმა.

წინამდებარე პუბლიკაცია განხორციელდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი და საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.